

**მოკლე აღწერა:** ლუიზამ ახლახან დაიწყო სწავლა აუგსბურგის უნივერსიტეტში და კატრინთან ერთად საერთო ბინაში ცხოვრობს. კატრინიც ამავე ინსტიტუტში სწავლობს უკვე დიდი ხანია. შემდეგი ისტორია გვიჩვენებს მონაკვეთებს, ლუიზას უნივერსიტეტში სწავლის პირველი წლიდან, წელიწადის ოთხივე დროში განაწილებულს. კატრინი უკვე კარგად იცნობს უნივერსიტეტს და ახლა ლუიზასაც ათვალთვლებინებს ლამაზ ადგილებს, რაც კარგი იქნებოდა, რომ ახალმა სტუდენტებმაც იცოდნენ.

**ავტორი:** ჭრელი ფოთლები...წვიმა...ქარი...ზამთრის სემესტრი იწყება.

**დოცენტი:** – დღეისათვის სულ ეს იყო! ერთმანეთს შევხვდებით მომავალ კვირას!

**კატრინი:** – დილა მშვიდობისა ლუიზა! .. ერთ ჭიქა ყავას შენც ხომ არ დალევდი?

**ლუიზა:** – კიი! გამიკეთე რა, გთხოვ!

**კატრინი:** – აგერ!... ისე გამოიყურები, რომ ყავა ნამდვილად მოგიხდება. როგორი იყო გუმინ სემესტრის გახსნის ფართი?

**ლუიზა:** — ოჰ გემრიელია ... აა ფართი? ძალიან მაგარი! დაახლოებით ორასამდე ადამიანი იქნებოდა და სამი სხვადასხვა მუსიკალური მიმართულების ბენდი უკრავდა. თავდაპირველად დიდი აუდიტორიის წინ მიმდინარეობდა, შემდეგ კაფეტერიასთან გადაინაცვლა და ბოლოს თვითონ კაფეტერიაში გაგრძელდა. დიდი აუდიტორიის წინ მაგალითად.....

**ავტორი:** სემესტრის დაწყებასთან დაკავშირებით, სემესტრის გახსნის ფართი ჩატარდა, სადაც ლუიზაც იმყოფებოდა. ასეთი ფართი ყოველწლიურად ტარდება და მას „ასტა“ (ASTA), ანუ „სტუდენტთა წარმომადგენლობის ოფისი“ უწევს ორგანიზებას.

**ლუიზა:** – და ფართიზე ძალიან მაგარი ბიჭი გავიცანი – მიხაელი. სპორტზე სწავლობს და იცი? დღეისთვის შეხვედრა გვაქვს დათქმული.

**კატრინი:** – მაგარია!

**ლუიზა:** – ხო, მაგრამ დღეისათვის ორი ძალიან მნიშვნელოვანი ლექცია მაქვს. მერე კიდევ რამე ჩასაცმელიც მინდა რომ ვიყიდო და თმებიც ცოტა ლამაზად დავიყენო... ამ ყველაფერს როგორ მოვასწრებ, წარმოდგენა არ მაქვს.

**კატრინი:** – დამშვიდდი! ჯერ წადი ლექციებს დაესწარი. თუ რამეა უნივერსიტეტთანაც არის სილამაზია სალონი და სულაც იქ მიხვალ.

**ლუიზა:** – მართლა?! მოკლედ, ჩემი გადამრჩენელი ხარ! უშენოდ არ ვიცი, როგორ გავართმევდი თავს ამ ყველაფერს... აბა მამ დროებით!

**კატრინი:** – დროებით! და კარგი დროის გატარებას გისურვებ!

**ავტორი:** პირველი თოვლი...სიცივე...ზამთარი მოვიდა. ახლა ყველა მოუთმენლად ელოდება შობის დადგომას.

**ლუიზა:** – რომ მცოდნოდა, რომ უნივერსიტეტი ასეთი რთული რამ იქნებოდა...უამრავი რეფერატები და საშინაო დავალებები...

**კატრინი:** – მაგრამ ლუიზა! მალე შობა მოვა! საშობაოდ, ორი კვირა არდადეგები გვექნება. გაქვს რაიმე დაგეგმილი საშობაოდ? ..ანუ..ვეგულისხმობ სადმე ხომ არ აპირებ გამგზავრებას? თუ აქ რჩები?

**ლუიზა:** – დიდი სიამოვნებით წავიდოდი მიხაელთან ერთად სადმე დასასვენებლად, მაგრამ დრო ვერ გამოვნახეთ, რომ ტურისტული შემოთავაზებები გვენახა.

**კატრინი:** – რატომ არ გაივლიდით, შუადღის შესვენებისას, ტურისტულ ბიუროში იქვე უნივერსიტეტთან?.. იქ ნამდვილად იპოვით კარგ შემოთავაზებას.

**ავტორი:** ტურისტული ბიურო, ისევე როგორც სილამაზის სალონი, ასევე უნივერსიტეტთან მდებარეობს. უნივერსიტეტის გაჩერებიდან, მარცხნივ გაუყვებით გზას და მოხვალთ ევროპის მოედანზე. იქ კი, ზემოთხსენებულთან ერთად, სხვა მაღაზიებსაც აღმოაჩენთ.

**ლუიზა:** – მანამდე კი, შეგვიძლია დრო საშობაო ნამცხვრებითა და ცხელი ღვინით \* ტკბილად გავატაროთ.

**ლუიზა:** – ოჰ! ეგ კი!

**ავტორი:** ... მზე ანათებს...ცხოველები იღვიძებენ ღრმა ძილიდან...ყვავილები ცოცხლდებიან... გაზაფხული მოვიდა.

**კატრინი:** – აბა როგორ ხარ? კარგი იქნება ასეთ ამინდში ცოტა მზეს რომ მივეფიცხოთ!

**ლუიზა:** – არაჩვეულებრივი იდეაა. სპორტული მოედნებისკენ ხომ არ გავიაროთ! იქნება მიხაელი სწორედ ახლა ვარჯიშობდეს!...აქაც კარგი დასაჯდომი ადგილებია შუა ეზოში, მწვანე ხეებთან... მართლაც ლამაზია.

**ავტორი:** ლუიზა და კატრინი ამჟამად შუა ეზოში. შენობა „ც“ – სა და „დ“ – ს შორის იმყოფებიან. ანუ აუდიტორიების ცენტრის უკან. შუა ეზოში ადვილად მოხვალთ, № 1 აუდიტორიის ფოიედან შუშის წინკარს თუ გამოივლით. ამასგარდა, უნივერსიტეტს

ბევრი ლამაზი ადგილები აქვს, პატარა გორაკი მაგალითად. იურიდიულ ფაკულტეტთან კი, ზაფხულობით სტუდენტები იყრიან თავს და ფართისაც აწყობენ. ასევე მშვენიერია ზაფხულობით – ევროპის მოედანი, როგორც ვთქვით, უნივერსიტეტის გაჩერებიდან მარცხნივ გაუყვებით გზას.

**ლუიზა:** აჰ! უკვე სპორტულ ცენტრთან ვართ. რა მავე მოვედით!

**სპორტული ხელმძღვანელი:** – ადგილებზე! მოემზადეთ! წავიდააა!!!

**კატრინი:** – აქ მიყვარს ხოლმე ყოფნა. კარგ ამინდში შეგიძლია ვარჯიშებსაც უყურო და გაირუჯო კიდეც.

**ლუიზა:** – კი კი! აქ მართლაც მშვენიერია... ბევრი სიმწვანე... შეხედე! აქ ბაგირის თოკები და ბეწვის ხიდებიც ყოფილა! იცი? მე ყური მოვკარი, რომ ზაფხულში საფეხბურთო ტურნირი ტარდება, სადაც საკუთარი გუნდი თავად შეგიძლია დააკომპლექტო. შეხედე? მიხაელი!... მი-ხა-ელ!!!

**კატრინი:** ლუიზა სიურპრიზიც ამას ქვია!

**ავტორი:** ზაფხული... მზე... ბიბლიოთეკაში მეცადინეობის ნაცვლად, სტუდენტები სულთა ჰაერზე ყოფნას ამჯობინებენ.

**ლუიზა:** – ზუსტად ვიცოდი, რომ შენ აქ, ტბასთან გიპოვნედი. რას კითხულობ? ინგლისურია?

**კატრინი:** – კი. მინდა ჩემი ინგლისური ცოტა გავაუმჯობესო. ამაზე უკეთეს ადგილს კი სად ვიპოვიდი სამეცადინოდ? მიმოიხედე რა მშვენიერია – ტბა, მწვანე მოლი... კაცს შეიძლება დაავიწყდეს კიდეც, რომ უნივერსიტეტშია.

**ლუიზა:** – მეც მასე ვფიქრობ. უნივერსიტეტის ტბა ჩემთვისაც უსაყვარლესი ადგილია.

**კატრინი:** – სხვათაშორის, ეს წიგნი იცი რა იაფად ვიყიდე? თან ძალიან კარგი წიგნია. გაჩერების წინ წიგნების მაღაზიაა, სადაც სხვადასხვა ენაზე გამოცემული წიგნები იყიდება და ასევე ნახმარიც, ბევრად იაფად. თუ გინდა, ცოტა ხნის მერე გავიაროთ და დავათვალიეროთ.

**ლუიზა:** – სიამოვნებით. მერე ერთი ნაყინიც დავაყოლოთ და თავი ისე ვიგრძნოთ, ვითომ არდადეგებს ვატარებთ.

**კატრინი:** – ერთი სანაყინეც არის წიგნების მაღაზიასთან, მაგრამ ამას ახლა შევეშვათ... ჯობია მზეს მივეფიცხოთ. ოჰ! ფრთხილად იხვი!!!

**ავტორი:** თუ იხვი თქვენს საჭმელს მოიპარავს, ამას პანიკის გარეშე შეხვდით. ისე, თუ თქვენ თავად სურვილი გაგიჩნდებათ სასადილოს გარდა სადმე სხვაგან მიირთვათ, არსებობს სხვა საშუალებებიც. თუნდაც ტრამვაის გაჩერებასთან არის თურქული „შაურმის“ ჯიხური, საცხობი, რესტორანი და სუპერმარკეტი. ასე რომ ნუ მოიშინებთ თავს.

როგორც ხედავთ უნივერსიტეტს, ყოველდღიური დამაბული გრაფიკის მიუხედავად, ბევრი საინტერესო რამის შემოთავაზება შეუძლია. ნუ დაიზარებთ და პატარა ექვსკურსია თავადაც ჩაატარეთ. ნახავთ, რომ კიდევ ბევრი რამის აღმოჩენაა შესაძლებელი.

---

**ავტორები:** სუზანე ჰაინდლ, კატერინა პოპოვა

**Übersetzt von**  
Natia Tsikelashvili